სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №457.05.16

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია"** (შემდგომში – *„შემსყიდველი"*), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი პაპავას სახით,

და მეორე მხრივ, **შპს „ორისი"** (შემდგომში – *„მიმწოდებელი"*), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული მომსახურების (CPV 72265000) (შემდგომში – „მომსახურება") შესყიდვა.

1.2. მომსახურების დასახელება და განფასება:

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით)	ჯამი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით)
1	პრ.განახლება A10M/U	1 მომსახურება	1302.49	1302.49
			ჯამი: 1302.49 ლარი დღგ-ს ჩათვლით	

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. *მიმწოდებელი* ვალდებულია:

2.1.1. სრულყოფილად და დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

2.1.3. მკაცრად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

2.2. *მიმწოდებელს* უფლება აქვს მოსთხოვოს *შემსყიდველს* წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.3. *შემსყიდველი* ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა.

მუხლი 3. მომსახურების გაწევისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ 12 ბ.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 1302.49 (ათას სამას ორი ლარი და 49 თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ჩათვლით.

4.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, *შემსყიდველის* მიერ *მიმწოდებლის* საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

4.3. *შემსყიდველის* მიერ ანგარიშსწორება ხორციელდება ავანსად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს.

მუხლი 5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1. *მიმწოდებლის* მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს *შემსყიდველის* მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

5.2. *შემსყიდველი* უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებამდე ჩაატაროს ინსპექტირება, მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მუხლი 6 მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.2. *მიმწოდებლის* მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, *შემსყიდველი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3. *მიმწოდებლის* მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, *მიმწოდებელი* უფლებამოსილია დააკისროს *შემსყიდველს* პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

6.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება შეიძლება მხოლოდ წერილობითი ფორმით, რაც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით და დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

7.2. ხელშეკრულების ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას და დადგენილი წესით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს იყო გამოწვეული რაიმე გადაულახავი მიზეზებით, კერძოდ, ისეთით როგორცაა: დივერსია, ეპიდემია, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი, ომი, რევოლუცია, სახელმწიფო ან სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო მღელვარებანი, ბლოკადა ან ემბარგო, გაფიცვა, პიკეტირება, ბოიკოტი ან მსგავსი სხვა ისეთი მოვლენები, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან ფორს-მაჟორული გარემოების მქონედ, მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების მთელი დროის მანძილზე.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარემ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ და ყოველგვარ ძალისხმევას უნდა მიმართოს მსგავსი გარემოებების თავიდან ასაცილებლად, მისი ხანგრძლივობისა და შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად და ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

წინამდებარე ხელშეკრულება იურიდიულ ძალას იძენს მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 10. დავების გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ინტერესთა კონფლიქტი

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუხლი 12. სალიცენზიო პირობები

12.1. სალიცენზიო უფლებები:
პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, *შემსყიდველს* უფლება აქვს იმუშაოს საკუთარ ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

12.2. უფლებათა გადაცემა:
შემსყიდველს უფლება აქვს გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ასეთ შემთხვევაში, *შემსყიდველმა* უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო საკუთარ (*შემსყიდველის*) კომპიუტერზე უნდა წაშალოს პროგრამის ყველა ასლი.

12.3. შეზღუდული გარანტია:
შემსყიდველის მიერ პროგრამის შეძენიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში *მიმწოდებელი* უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას *მიმწოდებლის* ტერიტორიაზე. შეძენიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში *შემსყიდველს* უფლება აქვს მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადაში პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება *მიმწოდებლის* მიერ.

12.4. გარანტიების არარსებობა:
პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. *მიმწოდებელი* არ იძლევა გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. *მიმწოდებელი* არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ *მიმწოდებელი* წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუქნტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი და/ან ცვლილება და/ან დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობები განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ურთიერთობებზე აგრეთვე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21

საიდ. კოდი: 206 103 722

საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი“

ა/ა GE15BG0000000175520100

ბანკის კოდი: BAGAGE22

გიორგი პაპავა

გენერალური დირექტორის მოადგილე

მიმწოდებელი

შპს „ორისი”

მის.: ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №12ბ

საიდ. კოდი: 206 033 754

საბანკო რეკვიზიტები:

სს „საქართველოს ბანკი“

ა/ა GE88BG0000000120121601

ბანკის კოდი: BAGAGE22

დავით ჯოთოშია

დირექტორი